- დ) საშვილოსნოსა და მილების იოგოვანი აპარატის შეკუმშვა;

653. რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი მიეკუთვნება მილისმიერი უშვილობის გამომწვევ მიზეზებს:

- *ა) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- ბ) ნოლოზური სალპინგიტი;
- გ) შიდროსალპინქსი;
- დ) პერიტუბარულ შეხორცებები;
- ე) საშვილოსნოს მილების მექანიკური გამტარიანობის მოშლა;

654. რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ახდენს გეგავლენას კვერცხსავალი მილების აქტივობაზე:

- *ა) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- ბ) ანდროგენები;
- გ) სტეროიდული ჰორმონები;
- დ) პროსტაგლანდინები E1 და F2a;

655. რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი ენდოკრინული პათოლოგიის დროს არის ყველაზე მეტად დაქვეითებული საშვილოსნოს მილების ფუნქცია:

- *ა) ა.გ.ს;
- ბ) ენდომეტრიოზი;
- გ) საკვერცხეების პოლიკისტოზი;
- დ) ჰიპერპროლაქტინემიის სინდრომი;

656. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი უშუალოდ იწვევს კვერცხსავალი მილების ფუნქციის მოშლას, გარდა ერთისა:

- *ა) ლულიბერინის ცირხორალური რითმი.
- ბ) თირკმელზედა ჯირკვლის ქერქისა და სიმპაგო-ადრენალური სისტემის გლიკოკორტიკოიდული ფუნქციის მოშლა;
- გ) სასქესო ჰორმონებისა და პროსტაგლანდინების სინთეზის მოშლა;
- დ) ქრონიკული ფსიქოლოგიური სტრესი უშვილობის გამო;

657. ციკლის რომელი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი კვერცხსავალი მილების მაქსიმალური ტონუსი:

- ა) მთელი ციკლის განმავლობაში.
- ბ) ოვულაციიდან 3-4 დღის შემდეგ;
- გ) უშუალოდ ოვულაციის პერიოდში;
- *დ) ოვულაციამდე 3-4 დღით ადრე;

658. საშვილოსნოს მილების ორგანულ დაზიანებებს მიეკუთვნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) სტერილიზაცია.
- ბ) მილების შეხორცება;
- *გ) დისკოორდინაცია;
- დ) პერიტუბარული შეხორცებები;
- ე) საშვილოსნოს მილების ოკლუზია;

659. რომელი სინჯი გამოიყენება საშვილოსნოს მილების სპაზმის სადიაგნოსტიკოდ:

- ა) ქორიოგონინის სინჯი.
- ბ) კლომიფენის სინჯი;
- *გ) სელექსენის სინჯი;
- დ) დექსამეტაზონის სინჯი;

660. მენსტრუალური ციკლის I ფაზაში რომელი ჰორმონები ასრულებენ წამყვან როლს კვერცხსავალი მილების კუმშვადი აქტივობის რეგულაციაში:

- ა) ანდროგენები.
- ბ) პროსტაგლანდინები;
- გ) პროგესტერონი;
- *დ) ესტროგენები;

661. ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, რომელი ერთი არ არის მეორადი ჰიპერპოლაქტინემიის გამომწვევი მიზეზი:

- ა) ბრონქიალური კიბო.
- *ბ) საკვერცხეების ნაადრევი განლევა;
- გ) პირველადი ჰიპოთირეოზი;
- დ) ესტროგენებით ხანგრძლივი მკურნალობა;

662. ჰიპოფიზის პროლაქტინმაპროდუცირებელი ადენომისას, მკურნალობის ფონზე პროლაქტინის დონის ნორმალიზაციის შემდეგ, როდის უნდა მიეცეთ ქალს დაორსულების უფლება

- ა) 18 თვე.
- *ბ) 12 თვე;
- გ) 6 თვე ;
- დ) 3 თვე ;

663. სისხლში რადიოიმუნოლოგიურად განსაზღვრული პროლაქტინის ნორმალური დონის ფონზე გალაქტორეის შემთხვევაში, ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან, რომელი ერთი უნდა ვივარაუდოთ:

- ა) არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი.
- *ბ) სისხლში გვხვდება იმუნოლოგიურად დაქვეითებული აქტივობის და ბიოლოგიურად აქტიური პროლაქტინი;
- გ) სისხლში გვხვდება იმუნოლოგიურად აქტიური და ბიოლოგიურად სუსტი მოქმედების პროლაქტინი;
- დ) გაზრდილია სარძევე ჯირკვლების რეცეპტორების მგრძობელობა პროლაქტინის მიმართ;

664. ქვემოთ ჩამოთვლილი სომატური დაავადებებიდან, რომელი ერთი არ არის მეორადი ჰიპერპროლაქტინემიის გამომწვევი მიზეზი:

- ა) ბრონქიალური კიბო.
- *ბ) გულსისხლძარღვთა პათოლოგია;
- გ) ღვიძლის მძიმე პათოლოგია;
- დ) თირკმლის მძიმე პათოლოგია;

665. თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ჰორმონებიდან ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელი ერთის სეკრეციაზე არ ახდენს გავლენას ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი:

- ა) 17 α ოქსიპროგესტერონი.
- *ბ) ალდოსტერონი;
- გ) კორტიზოლი;
- დ) ლეჰიდროკოტიკონი;

666. ადრენო-გენიტალური სინდრომის რბილი ფორმებისას ფენოტიპურად როგორი აღნაგობის ქალებს ვხვდებით:

- ა) ენუხიდიური.
- *ბ) სპორტული;
- გ) იმოსექსუალური;
- დ) ინფანტილური;

667. ღიძლის დიდი სინჯის დროს მიღებული ლექსამეგამონის საერთო რაოდენობა შეადგენს:

- ა) 24 მგ ;
- *ბ) 16 მგ ;
- გ) 4 მგ ;
- დ) 8 მგ;

668. ადრენო-გენიტალური სინდრომით დაავადებული ქალების დაორსულებისას გლეუკოკორტიკოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია უნდა ჩაუტარდეს:

- *ა) მთელი ორსულობის განმავლობაში.
- ბ) ორსულობის მესამე ტრიმესტრში;
- გ) ორსულობის პირველი და მეორე ტრიმესტრის განმავლობაში;
- დ) ორსულობის დროს 12 კვირამდე;

669. ქვემოთ ჩამოთვლილი ფერმენტებიდან, რომელი ერთი მონაწილეობს ტესტოსტერონის ლეჰიდროტესტოსტერონში გადასვლაში:

- ა) 11 β ჰიდროქსილაზა.
- *ბ) 5 α რედუქტაზა;
- გ) 17 β ჰიდროქსილაზა;
- დ) 3 β -ოლდეგიდროგენაზა;

670. პოსტმენოპაუზალურ ქალებში უეცარი ფემინიზაციის დაწყების, კანის ელასტიულობის აღდგენის და გაახალგაზრდავების მიზნად უნდა ვივარაუდოთ ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი:

- ა) არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი.

- ბ) საკვერცხის ანდროგენმაპროლუცირებელი სიმსივნე;
- *გ) საკვერცხის ესტროგენმაპროლუცირებელი სიმსივნე;
- დ) საკვერცხის ფოლიკულარული კისტა;

671. პროლაქტინის სეკრეციას ახასიათებს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი რითმი:

- ა) არ ახასიათებს რითმი.
- ბ) ციკლური რითმი;
- *გ) ცირკალური რითმი;
- დ) ცირხორალური რითმი;

672. პრემენოპაუზალურ პერიოდში, ესტროგენებით ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპია რეკომენდირებული არაა ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ესტროგენით:

- ა) ესტრიოლი.
- ბ) კონიუგირებული ესტროგენები;
- *გ) ეგინილესტრადიოლი;
- დ) ესტრადიოლვალერატი;

673. ჰიპოესტროგენული მდგომარეობისთვის არ არის დამახასიათებელი ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი:

- *ა) ძლიერდება კალციტონინის სეკრეცია.
- ბ) ძლიერდება პარათირეოიდული ჰორმონის სეკრეცია;
- გ) მცირდება კალციტონინის სეკრეცია;
- დ) მაგულობენ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები, კლებულობენ მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები;

674. ენდომეტრიუმის გამოფხეკის შემდეგ, რომელი ჰიპერპლასტიური პროცესის დროს არ არის აუცილებელი ჰორმონოთერაპიის ჩატარება რეციდივის თავიდან აცილების მიზნით:

- ა) ენდომეტრიუმის ჯირკვლოვან ფიბროზული პოლიპი.
- ბ) ენდომეტრიუმის ჯირკვლოვან-კისტოზური ჰიპერპლაზია;
- *გ) ენდომეტრიუმის ფიბროზული პოლიპი;
- დ) ენდომეტრიუმის ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია;

675. საშვილოსნოს მიომის ლოკალიზაციისას მეყელის არეში აწარმოებენ:

- ა) საშვილოსნოს ყელის კონიზაცია.
- *ბ) საშვილოსნოს ექსტირპაცია;
- გ) მიომაგომური კეანძის ენუკლაცია;
- დ) საშვილოსნოს საშოსმელა ამპუტაცია;

676. საშვილოსნოს სუბმუკოზური მიომაგომური კეანძის დიაგნოსტიკა შესაძლებელია ყველა ჩამოთვლილი მეთოდით, გარდა ერთისა:

- ა) ჰისტეროსკოპია.
- ბ) საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკა;
- *გ) ლაპაროსკოპია;
- დ) მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექსოცენირება;

677. საშვილოსნოს მიომის განვითარებას ხელს უწყობს ყველაფერი, გარდა ერთისა:

- *ა) ავიტამინოზი.
- ბ) რეგიონალური ჰემოდინამიკის დარღვევა;
- გ) ელექტროლიტური ბალანსის დარღვევა;
- დ) ჰორმონალური სტატუსის დარღვევა;

678. მიომეტრიუმის შეკუმშვითი ფუნქცია ირღვევა ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა:

- ა) საშვილოსნოს დიფუზური მიომა.
- ბ) სუბმუკოზური მიომა;
- გ) ინგრამურალური მიომა;
- *დ) სუბსეროზულ მიომა;

679. მიომა შეიძლება გახდეს მიზეზი ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობისა, გარდა ერთისა:

- ა) კვერცხსავალი მილების გაუვალობა.
- ბ) ნაადრევი მშობიარობა;
- *გ) არასრულფასოვანი ლუთეინური ფაზა;
- დ) თვითნებითი აბორტები;

680. ქირურგიული ჩარევის ჩვენებად მიომის დროს ითვლება ყველა ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- *ა) ოლიგომეტროვანობა.
- ბ) მიომის სწრაფი ზრდა;

- გ) საშვილოსნოს 18 კვირის ორსულობაზე გადიდება;
- დ) მენორაგია;

681. საშვილოსნოს ღრუს პოლიპის დიაგნოსტიკა შესაძლებელია ყველა მეთოდით, გარდა ერთისა:

- ა) საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკა;
- *ბ) ლაპაროსკოპია;
- გ) ვაგინალური ექოსკენირება;
- დ) ჰისტეროსკოპია;

682. საშვილოსნოს ღრუს პოლიპისათვის დამახასიათებელი კლინიკური სურათია:

- ა) ამენორეა.
- ბ) ოლიგომენორეა;
- გ) ჰიპომენორეა;
- *დ) მენომეტრორაგია;

683. ჯირკვლოვანი პოლიპის ეტიოპათოგენების საფუძველს წარმოადგენს:

- ა) სასქესო ორგანოების ინფექცია.
- ბ) ენდომეტრიოზი;
- გ) ჰიპერანდროგენია;
- *დ) ანოვულაცია;

684. ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან რომელია დამახასიათებელი 6-8 კვირაზე გადილებული მიომატომური საშვილოსნოსათვის:

- *ა) არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი.
- ბ) შარდვის შეკავება;
- გ) კუჭის შეკრულობა;
- დ) ხშირი შარდვა;
- ე) მწვავე სპასტიური ტკივილი;

685. უშვილობა შეიძლება იყოს გამოწვეული საშვილოსნოს მიომის ყველა ჩამოთვლილი ფორმით, გარდა ერთისა:

- ა) საშვილოსნოს მბალი მიომა.
- ბ) სუბმუკოზური მიომატომური კვანძი;
- გ) საშვილოსნოს დიფუზური მიომა;
- დ) ინტრამურალური მიომატომური კვანძი;
- *ე) საშვილოსნოს სუბსეროზული მიომა ფართო ფეხზე;

686. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი დებულება დამახასიათებელია საშვილოსნოს მიომისთვის, გარდა:

- *ა) მიომას საკუთარი კაფსულა არ გააჩნია.
- ბ) ჰიალინური გადაგვარება-მიომის გაღებვარების ერთ-ერთი იშვიათი ფორმაა;
- გ) მიომატომური კვანძები იშვიათად წარმოიქმნება და იზრდება მენოპაუზის შემდეგ;
- დ) საშვილოსნოს მიომატომური კვანძის მალიგნიზაცია ხდება 1%-ზე ნაკლებ შემთხვევაში;

687. სუბმუკოზურ მიომას ახასიათებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშანი, გარდა ერთისა:

- *ა) ჰიპომენორეა;
- ბ) ანემია;
- გ) უნაყოფობა;
- დ) პათოლოგიური სისხლდენები;

688. როგორი გართულებებია მოსალოდნელი სუბმუკოზური მიომის დროს:

- *ა) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- ბ) კვანძის კვების დარღვევა და ნეკროზი;
- გ) კვანძის მალიგნიზაცია;
- დ) პოსტჰემორაგიული ანემია;

689. საშვილოსნოს მიომის კონსერვატიული მკურნალობისას გამოიყენება:

- ა) ესტროგენები.
- ბ) გონადოტროპინების აგონისტები;
- გ) ფიზიო და ბალნეოთერაპია;
- *დ) პროგესტინები;

690. საშვილოსნოს მბალი მიომის გართულებებია ყველა, გარდა ერთისა:

- *ა) ოლიგომენორეა.
- ბ) საშვილოსნოს გამოვარდნა;
- გ) პროფუზული სისხლდენა საშვილოსნოდან;

დ) კვანძის ინფიცირება;

691. სუბმუკოზური კვანძის დაღვანა შეიძლება ყველა მეთოდით, გარდა ერთისა:

- *ა) ლაპაროსკოპია.
- ბ) საშვილოსნოს ღრუს ზონდირება;
- გ) ჰისტეროსკოპია;
- დ) ჰისტეროსალპინგოგრაფია;
- ე) ტრანსვაგინალური ექოსკოპია;

692. საშვილოსნოს მიომის წარმოშობის რისკ-ფაქტორებია:

- ა) საშვილოსნოს ხანგრძლივი შიდა კონტრაცეპცია.
- ბ) ცხიმოვანი ცვლის დარღვევა;
- *გ) ზომიერი ჰიპერესტროგენია;
- დ) მემკვიდრეობითი მიდრეკილება;

693. ინგრამურალური კვანძის ღიაგნოსტირების ყველაზე ინფორმაციული მეთოდია:

- *ა) ლაპაროსკოპია.
- ბ) ჰისტეროსკოპია;
- გ) ჰისტეროსალპინგოგრაფია;
- დ) ექოსკოპია;
- ე) საშოსმიერი გამოკვლევა;

694. ცერვიკალური ლორწოს შემადგენლობის პათოლოგიური ცვლილება შეიძლება განპირობებული იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზით, გარდა ერთისა:

- ა) ანამნეზში ყელის ელექტროკოაგულაციით.
- ბ) საშვილოსნოს ყელის ქრონიკულად მიმდინარე ანთებითი პროცესით;
- *გ) საშვილოსნოს უკან გადახრით;
- დ) საშვილოსნოს ყელის ინფიცირებით;

695. ყვითელი სხეულის ფუნქციის მოშლა შესაძლებელია გამოვლინდეს ყველა ჩამოთვლილი მეთოდებით, გარდა ერთისა:

- *ა) ესტროგენების შემცველობის განსაზღვრა სისხლის შრატში.
- ბ) პროგესტერონის შემცველობის განსაზღვრა სისხლის შრატში;
- გ) ენდომეტრიუმის ბიოფსია, მისი შემდგომი ჰისტომორფოლოგიური შესწავლით;
- დ) ბაზალური ტემპერატურის გაზომვა;

696. რომელი ჰორმონის სინთეზი იზრდება 1000-ჯერ ორსულობის დროს?

- ა) თიროქსინი.
- *ბ) ესტრიოლი;
- გ) კორტიზოლი;
- დ) პროგესტერონი;
- ე) ესტრადიოლი;

697. ფმპ გაველნას ახდენს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პროცესზე გარდა ერთისა:

- ა) ფოლიკულებში ფმპ-ის რეცეპტორების წარმოქმნა.
- *ბ) მპ-ს გამოთავისუფლება;
- გ) ანდროგენების არომაგინაცია;
- დ) გრანულოზური უჯრედების ზრდა და მომწიფება;

698. ჰიპოფიზის ქრომოფობული აღენომით დაავადებულ პაციენტს შეიძლება ჰქონდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგია, გარდა ერთისა:

- *ა) კუშინგის სინდრომი.
- ბ) გალაქტორეა;
- გ) ჰიპოთირეზი;
- დ) ამენორეა;

699. პროგესტერონის ფუნქციასთან დაკავშირებული ყველა მტკიცება ჭეშმარიტია გარდა ერთისა:

- ა) იწვევს ენდომეტრიუმის სეკრეტორულ ტრანსფორმაციას.
- *ბ) იწვევს ენდომეტრიუმის პროლიფერაციას;
- გ) აღუწერს მიომეტრიუმს;
- დ) ამზადებს ენდომეტრიუმს სანაყოფე კვერცხის იმპლანტაციისთვის

700. რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადების დიაგნოზის დასადგენად გამოიყენება ლაპაროსკოპია:

- ა) სუბმუკოზური მიომა;
- *ბ) გენიტალური ენდომეტრიოზი;

- გ) საშვილოსნოს არასრული ძგიდე;
- დ) ენდომეტრიუმის პოლიპოზი;

701. ლაპაროსკოპით შეიძლება:

- ა) ქორიონეპითელიომის ლიაგნოსტიკა;
- ბ) ბუშნამქერის ლიაგნოსტიკა;
- გ) საშვილოსნოს ღრუს შეწყვეტილი ორსულობის ლიაგნოსტიკა;
- *დ) საშვილოსნოსგარე ორსულობის ლიაგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობა;

702. ფოლიკულზე ექიმონიგორინგის ოპტიმალური პერიოდი:

- ა) მ.ც.-ის მე-15, მე-17, მე-19, 21-ე დღეები.
- *ბ) მ.ც.-ის მე-9, მე-11, მე-13, მე-15 დღეები;
- გ) მ.ც.-ის მე-7, მე-9, მე-11 დღეები;
- დ) მ.ც.-ის მე-5 დღე, მე-7 დღე, მე-9 დღეები;

703. ჰისტეროსალპინგოგრაფიის ჩატარება რეკომენდირებულია მიღების ანაგომიური მდგ-ების შესასწავლად:

- ა) მ.ც.-ის 22-26 დღეზე.
- ბ) მ.ც.-ის მე-18-22 დღეზე;
- *გ) მ.ც.-ის მე-12, მე-17 დღეზე;
- დ) მენსტრუალური ციკლის მე-5, მე-7 დღეზე;

704. კარიოტიპის განსაზღვრა აუცილებელია:

- ა) ჰიპერპროლაქტინემიის ს-მის დროს.
- ბ) საკვერცხეების პოლიკისტოზის დროს;
- *გ) გონალების დისგენეზის დროს;
- დ) ენდომეტრიოზის შემთხვევაში;

705. კვერცხსავალი მიღების გამავლობის შესამოწმებლად რეკომენდირებულია

- ა) ჰისტეროსკოპია;
- ბ) ენდომეტრიუმის ბიოფსია;
- გ) სპერმალური სითხის ანალიზი;
- *დ) ჰისტეროსალპინგოგრაფია;
- ე) პოსტკოიტალური ტესტი;

706. ოვულაციის არსებობის დასადაგენად რეკომენდირებულია:

- ა) ლაპაროსკოპია.
- *ბ) ექიმონიგორინგი;
- გ) სპერმალური სითხის ანალიზი;
- დ) ჰისტეროსალპინგოგრაფია;
- ე) პოსტკოიტალური ტესტი;

707. არაორსულ ქალებში ლუთეინური ფაზის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ფაქტორის უკმარისობამ, გარდა ერთისა:

- ა) პროგესტერონის სინთეზის უკმარისობამ;
- *ბ) პროსტაგლანდინების სინთეზის უკმარისობამ;
- გ) ესტრადიოლის კონცენტრაციის უკმარისობამ;
- დ) ფმჰ-ით მენსტრუალური ციკლის სტიმულაციის უკმარისობამ;

708. ლუთეინური ფაზის დარღვევის სამკურნალოდ ნაჩვენებია ყველა ჩამოთვლილი საშუალება, გარდა ერთისა;

- *ა) ესტროგენების დაბალი დოზით მიღება.
- ბ) ოვულაციის შემდეგ პროგესტერონის დამატებითი მიღება;
- გ) ქორიოგონინი;
- დ) კლომიფენ ციტრატი;

709. მიუთითეთ ჰორმონი რომლის სეკრეცია უპირველეს ყოვლისა ითრგუნება სისხლში ესტროგენების მაღალი კონცენტრაციის დროს:

- *ა) ფმჰ.
- ბ) მჰ;
- გ) ქორეოგონული გონადოტროპინი;
- დ) პროგესტერონი;

710. უხშირესად მენსტრუალური ციკლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს:

- ა) 38 დღეს.
- ბ) 35 დღეს;

- *გ) 28 დღეს;
- დ) 25 დღეს;
- ე) 22 დღეს;

711. ქვემოხამოთველი რომელი სუბსტანციის სინთეზსა და სეკრეციას აკონტროლებს გონადოლიბერინი;

- ა) თირეოლიბერინი;
- ბ) ნორადრენალინი;
- გ) პროლაქტინი;
- დ) ლოფამინი;
- *ე) ფმჰ და მჰ;

712. ოვულაციის დადგომის დრო ყველაზე უკეთესია განსაზღვროს :

- ა) პროგესტერონის ღონის პრეოვულატორული მომატებით.
- *ბ) მჰ-ის პიკის განსაზღვრით;
- გ) ფმჰ-ის განსაზღვრით;
- დ) ესტროგენების ღონის პიკით;

713. მენსტრუალური ციკლი დამოკიდებულია ყველა ჩამოთვლილ ფაქტორზე გარდა ერთისა:

- ა) საკვერცხის სტეროიდული ჰორმონებისა;
- *ბ) კვერცხსავალის გამავლობისა;
- გ) გონადოტროპინების ფაქტორისა;
- დ) ენდომეტრიუმის მგრძობელობაზე სასქესო ჰორმონების მიმართ;
- ე) გონადოლიბერინის ფაქტორისა;

714. გესტაგენებისთვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი ეფექტი, გარდა ერთისა:

- *ა) უჯრედშიდა ესტროგენული რეცეპტორების სინგემის გაძლიერებისა.
- ბ) ენდომეტრიუმის სეკრეტორული ტრანსფორმაცია;
- გ) ესტროგენების გაელენის შესუსტებისა სამიზნე უჯრედებზე;
- დ) დაღებითი ეფექტებისა ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიის დროს;

715. თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზიის ეთიოლოგიურ ფაქტორს მიეკუთვნება:

- ა) ციგოქრომის უკმარისობა.
- *ბ) ჩ 21-ჰიდროქსილაზის დეფექტი;
- გ) 5 ა რედუქტაზის უკმარისობა;
- დ) ჰიპოთალამო-ჰიპოფიზური სისტემის მოუმწიფებლობა;

716. შეარჩიეთ მკურნალობა თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზიისთვის:

- ა) არც ერთი ჩამოთვლილთაგანი.
- ბ) პროსტაგლანდინების ინჰიბიტორები;
- გ) სუფთა გესტინები;
- *დ) დექსამეტაზონი;
- ე) კომბინირებული პროგესტინები;

717. მენოპაუზის პერიოდში საშო ხასიათდება ყველა ჩამოთვლილი ნიშნებით, გარდა ერთისა:

- ა) პარაბაზალური უჯრედების რაოდენობის მომატება.
- ბ) საშოს გონუსის დაქვეითება;
- *გ) ზედაპირული უჯრედების რაოდენობის გამრდა;
- დ) საშოს ზემო ნაწილის ზომაში შემცირება;
- ე) უფერული მშრალი ეპითელი;

718. ჩვეული თვითნებითი აბორტი შეიძლება გამოწვეულ იყოს ყველა ჩამოთვლილი პათოლოგიით, გარდა ერთისა:

- *ა) საშვილოსნოს სუბეროზული მიომა.
- ბ) ორრქიანი საშვილოსნო;
- გ) ჰორმონალური დარღვევები;
- დ) საშვილოსნოს ყელის უკმარისობა;

719. საშვილოსნოს დისფუნქციური სისხლდენის მიზეზია:

- ა) ფონ ვილენბრანდის სინდრომი;
- ბ) სისტემური წითელი მგლურა;
- გ) ცერვიციტი;
- *დ) ანოვულაცია;
- ე) ენდომეტრიუმის პოლიპები;

720. რომელ ჩამოთვლილ დაავადებას არ ახლავს საშვილოსნოსშიერი სისხლდენები:

- *ა) აგს;
- ბ) ბუშნამქერი;
- გ) ენდომეტრიუმის პოლიპი;
- დ) თრომბოციტოპენია;

721. შეარჩიეთ დისფუნქციონალური საშვილოსნოსმიერი სისხლდენის შესაბამისი მკურნალობა პრემენოპაუზალურ პერიოდში:

- ა) არც ერთი ჩამოთვლილთაგანი.
- ბ) პროსტაგლანდინების ინჰიბიტორები;
- *გ) გესტაგენები;
- დ) ჰიდროკორტიზონი;
- ე) კომბინირებული პროგესტინები;

722. საშვილოსნოს მიომის ქირურგიული მკურნალობის ჩვენებას წარმოადგენს ყველა ჩამოთვლილი მიზეზი, გარდა ერთისა:

- ა) მიომის სწრაფი ზრდა.
- ბ) საშვილოსნოს გადიდება 18 კვირის ორსულობის ვადამდე;
- *გ) უნაყოფობა 1 წლის განმავლობაში;
- დ) მენომეტრორაგია;

723. ფუნქციონალური დიაგნოსტიკის ტესტს მიეკუთვნება:

- ა) შილერის სინჯი.
- *ბ) კარიოპიკნოზური ინდექსი;
- გ) ლილღის სინჯი;
- დ) პოსტკოიტალური ტესტი;

724. ფუნქციონალური დიაგნოსტიკის ტესტს მიეკუთვნება:

- ა) ლექსამეტაზონის სინჯი.
- ბ) შილერის სინჯი;
- გ) აქსილარული გემპერაგურის შესწავლა;
- *დ) ცერვიკალური ლორწოს დაჭიმულობა;
- ე) პოსტკოიტალური ტესტი;

725. ფუნქციონალური დიაგნოსტიკის ტესტს მიეკუთვნება:

- *ა) გვიმრის სიმპტომი.
- ბ) შილერის სინჯი;
- გ) აქსილარული გემპერაგურის შესწავლა;
- დ) პოსტკოიტალური ტესტი;
- ე) ენდომეტრიუმის გამოფხეკის ჰისტოლოგიური გამოკვლევა;

726. არაღამა კმაყოფილებელი პოსტკოიტალური ტესტი შეიძლება გამოწვეულ იქნას ყველა ჩამოთვლილი მიზეზით, გარდა ერთისა:

- ა) სქესობრივი აქტის არასწორი ტექნიკით.
- ბ) ცერვიკალური ლორწოს შემადგენლობის შეცვლით;
- გ) სპერმატოზოიდების მოძრაობაში შეზღუდვა;
- დ) სპერმატოზოიდების რაოდენობის შემცირება;
- *ე) კვერცხსავალი მილების გაუვალობა;

727. რომელი პათოლოგიის დროსაა ნაჩვენები კლომიფენის ციტრაგით სტიმულაცია:

- *ა) ფსიქოგენური ამენორეა;
- ბ) რემისტგენული საკვერცხეების სინდრომი;
- გ) აშერმანის სინდრომი;
- დ) გონალების დისგენეზია;

728. შეარჩიეთ ანოვულაციის დასაღვენი შესაბამისი ლაბორატორიული მაჩვენებელი:

- ა) არცერთი ჩამოთვლილთაგანი.
- ბ) ქორიოგონული გონადოტროპინის დონის განსაზღვრა;
- გ) ჰემატოკრიტის ცვლილება;
- *დ) პროგესტერონის დონის განსაზღვრა;
- ე) თრომბოციტოპათია;

729. ექტოპიური ორსულობის სადიაგნოსტიკოდ ყველაზე მუსკ მეთოდად ითვლება:

- ა) ტრანსვაგინალური სონოგრაფია.
- ბ) გონადოტროპული ქორიოგონინის სერიული განსაზღვრა;
- *გ) ლაპაროსკოპია;
- დ) ენდომეტრიუმის ბიოფსია;

ე) კულდოცენგემი;

730. თუ მილისმიერი ორსულობა აღმოჩენილი იქნა ერთ მხარეს, ხოლო; ყვითელი სხეული საპირისპირო საკვერცხებზე, რომელი ახსნა იქნება მართებული:

- ა) გაუვალია კვერცხსავალების ინტერსტრიალური ნაწილები;
- ბ) გაუვალია კვერცხსავალების ამპულარული ნაწილები;
- *გ) მოხდა ბლასტოციტის შიდა ან გარე მიგრაცია;
- დ) კვერცხსავალი გაუვალია ყვითელი სხეულის მხარეს;

731. მილისმიერ ექტოპიურ ორსულობას თან ახლავს ყველა ჩამოთვლილი სიმპტომი გარდა ერთისა:

- *ა) რექტალური სისხლდენა;
- ბ) მენსტრუაციის შეკავება;
- გ) სისხლიანი გამონადენი საშოდან;
- დ) ცალმხრივი ტკივილი მუცლის ქვემო ნაწილში;

732. საშვილოსნოს გარეორსულობის გამომწვევად შეიძლება განხილულ იქნეს ყველა ჩამოთვლილი მიზეზი, გარდა ერთისა:

- ა) კვერცხსავალის დივერტიკული;
- *ბ) ალენომიოზი;
- გ) ქრონიკული სალპინგიტი;
- დ) ენდომეტრიოზი;

733. რომელი ჩამოთვლილი მდგომარეობის დროსაა შესაძლებელი ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია:

- ა) დისგერმინომა.
- ბ) საკვერცხის სტრომის უჯრედებისგან წარმოქმნილი სიმსივნე;
- *გ) საკვერცხეების პოლიკისტოზი;
- დ) კისტოზური ტერატომა;
- ე) ენდომეტრიუმის სიმსივნე;

734. რომელ ასაკობრივ ჯგუფში გვხვდება უხშირესად მასტოპათია?

- ა) 50-60 წლის.
- *ბ) 40-50 წლის;
- გ) 30-40 წლის;
- დ) 20-30 წლის;

735. რამდენი წილისგან შედგება მრღასრული სარძევე ჯირკვალი?

- ა) 15-ზე ნაკლები.
- *ბ) 25-15 წილისგან;
- გ) 40-25 წილისგან;
- დ) 40-ზე მეტი წილისგან;

736. ქვემოთჩამოთვლილი ჰორმონებიდან რომელი მონაწილეობს უპირატესად სარძევე ჯირკვლის მრდისა და განვითარების პროცესში:

- ა) გლუკოკორტიკოიდები.
- ბ) ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები;
- გ) გონადოტროპინები;
- *დ) ესტროგენები;

737. ქვემოთჩამოთვლილიდან რომელი არ მიეკუთვნება სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიან დაავადებებს?

- ა) ლიფუზური მასტოპათია;
- ბ) სადინარშიდა პაპილომა;
- *გ) პეჯეტის დაავადება;
- დ) კვანძოვანი მასტოპათია;

738. ფიბროალენომის კიბოდ გარდაქმნის შესაძლებლობის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს:

- *ა) 1%
- ბ) 7%
- გ) 15%
- დ) 25%

739. მასტიტის უხშირესი გამომწვევია:

- ა) ეპიდემიური სტაფილოკოკი.
- ბ) სტრეპტოკოკი;
- *გ) ოქროსფერი სტაფილოკოკი;
- დ) ეშერიხია;

740. მასგოპათიის რომელი ფორმის დროს არის საჭირო ქირურგიული მკურნალობა:

- ა) ჯირკვლოვანი.
- *ბ) კვანძოვანი;
- გ) კისტოზური;
- დ) ფიბროზულ-კისტოზური;

741. სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი პროცესის მაჩვენებელია:

- *ა) ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი.
- ბ) სარძევე ჯირკვლის დერილის ჩაბრუნება;
- გ) სარძევე ჯ-ებიდან ერთ-ერთი მათგანის ვასკულარიზაციის მომატება;
- დ) სარძევე ჯ-ის კანის გამკვრივება შეშუპების გამო;
- ე) არასწორკონტურებიანი სიმსივნური წარმონაქმნი;

742. სარძევე ჯირკვლების რომელი დაავადებების დროს გვხვდება გალაქტორეა:

- ა) აღენომაგოზი.
- ბ) ფიბროადენომა;
- გ) სარძევე ჯირკვლების ცხიმულა;
- *დ) კისტოზური მასგოპათია;

743. ლიფუზური მასგოპათიის მკურნალობისას 40 წლის შემდეგ გამოიყენება:

- ა) ანდროგენები.
- ბ) ესტროგენები;
- *გ) გესტაგენები;
- დ) ესტროგენ-გესტაგენური პრეპარატები;

744. ლიფუზური მასგოპათიის მკურნალობისას 50 წლის შემდეგ უპირატესობა ენიჭება:

- ა) ანდროგენებს.
- ბ) ესტროგენებს;
- *გ) ანტიესტროგენებს;
- დ) ესტროგენ-გესტაგენური პრეპარატებს;

745. ცრუ გინეკომასტიის დროს პალპაციით შეიგრძნობა:

- ა) ფიბროზული ქსოვილი.
- *ბ) ცხიმოვანი ქსოვილი;
- გ) შერეული ჯირკვლოვან-ცხიმოვანი ქსოვილი;
- დ) ჯირკვლოვანი ქსოვილი;

746. სარძევე ჯირკვლების დაავადებების განვითარების რისკ-ჯგუფს მიეკუთვნება ქალები:

- *ა) ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი.
- ბ) ლიფუზური და კვანძოვანი ჩიყვით;
- გ) საშვილოსნოს მიომით;
- დ) პირველადი უნაყოფობით;
- ე) მენსტრუალური ფუნქციის დარღვევით;

747. სარძევე ჯირკვლების გამოკვლევა მიზანშეწონილია:

- ა) თანაბრად ინფორმაციულია ციკლის ნებისმიერი დღე.
- ბ) ოვულაციის პერიოდში;
- გ) მენსტრუალური ციკლის მეორე ფაზაში;
- *დ) მენსტრუალური ციკლის პირველ ფაზაში;

748. მასტიგის სამკურნალოდ გამოიყენება ყველა ჩამოთვლილი გარდა ერთისა:

- ა) ქირურგიული ჩარევა.
- ბ) ფიზიოთერაპია;
- *გ) ვიტამინები;
- დ) ანტიბიოტიკები;
- ე) პარლოდელი;

749. ლიფუზური მასგოპათიის ფონზე, პაციენტებში კონტრაცეპციის მეთოდის არჩევისას უპირატესობა ენიჭება:

- ა) სტერილიზაციას.
- ბ) მექანიკურს (კონდომი, დიაფრაგმა);
- გ) საშვილოსნოს შიდა საშუალებებს;
- *დ) ჰორმონალურს;

750. მიუთითეთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება ლიფუზური მასგოპათიის მკურნალობის ძირითად პრინციპებს:

- *ა) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი. ჰორმონული ლიფუზური მასგოპათიის ლაბორატორია
- ბ) ფსიქო-ემოციური სტატუსის კორექცია;
- გ) მწვავე და ქრონიკული ანთეზების მკურნალობა;
- დ) ჰორმონული სტატუსის კორექცია;

751. გონადოტროპინების კონცენტრაცია სისხლში მაგულობს - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- *ა) აღრენო-გენიტალური სინდრომის დროს.
- ბ) მენოპაუზის დროს.
- გ) პოსტკასტრაციული სინდრომის დროს.
- დ) პირველადი ჰიპოგონადიზმის დროს.

752. ქორიოგონინისათვის დამახასიათებელია - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- ა) ჰორმონის სპეციფურობას განაპირობებს ბ სუბერთეული.
- *ბ) ჰორმონის სპეციფურობას განაპირობებს ა სუბერთეული.
- გ) შეიცავს ა და ბ სუბერთეულს.
- დ) გლიკოპროტეინული ბუნება.

753. ორსულობის დროს ძირითადი ესტროგენია:

- *ა) ესტროლი.
- ბ) ესტრადიოლი.
- გ) ესტრონი.

754. ჰიპოფიზის წინა წილში გამოიშავება ჰორმონები:

- ა) თიროქსინი, ტრიოთიდონინი, ესტრადიოლი.
- *ბ) ფოლიკულო მასტიმულირებელი, მალუტეინიმიბრებელი ჰორმონები, პროლაქტინი, ბრდის ჰორმონი (სომატოტროპული ჰორმონი), აღრენოკორტიკოტროპული ჰორმონი, მელანოტროპული ჰორმონი.
- გ) კორტიზოლი, პროგესტერონი.

755. თანდაყოლილი აგს - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- *ა) პროგესტერონის მონოტონურად მაღალი დონე სისხლში.
- ბ) 17α ჰიდროქსიპროგესტერონის კონცენტრაციის მომატება სისხლში
- გ) აკტჰ-ის კონცენტრაციის მომატება სისხლში.
- დ) თირკმელზედა ჯირკვლების თანდაყოლილი ჰიპერპლაზია.

756. პროლაქტინის სეკრეციის რითმი დღე-ღამის განმავლობაში - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- *ა) არ იცვლება დღე-ღამის განმავლობაში.
- ბ) დაბალია დღით, 9-11 სთ-ს შორის.
- გ) მაღალია ღამით, ძილის დროს.

757. ტესტოსტერონი გამოიშავება - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- ა) თირკმელზედა ჯირკვლების ქერქოვანი შრის უჯრედებში.
- ბ) საკვერცხეების ტეკა უჯრედებში.
- *გ) სათესლეების სერტოლის უჯრედებში.
- დ) სათესლეების ლეიდიგის უჯრედებში.

758. პროლაქტინის ქიმიური ბუნება:

- *ა) მარტივი ცილა-პეპტიდი.
- ბ) ამინომჟავების ნაწარმი-პოლიპეპტიდი.
- გ) რთული ცილა-გლიკოპროტეინი.

759. ქალის ორგანიზმში ანდროგენები გამოიშავება - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- *ა) თირკმელზედა ჯირკვლების გვირგვინ შრეში.
- ბ) ორსულობის დროს პლაცენტაში.
- გ) თირკმელზედა ჯირკვლების ქერქოვანი შრეში.
- დ) საკვერცხეებში.

760. აღრენო-გენიტალური სინდრომისათვის დამახასიათებელია:

- ა) არომაგაზას დეფიციტი.
- ბ) ფერმენტ 5α რედუქტაზას დეფიციტი.
- *გ) ფერმენტ 21-ჰიდროქსილაზას დეფიციტი.

761. პროგესტერონი ქალის ორგანიზმში გამოიშავება - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- *ა) თირკმელზედა ჯირკვლების გვინოვან შრეში.
- ბ) თირკმელზედა ჯირკვლების ქერქოვან შრეში.
- გ) პლაცენტაში (ორსულობის დროს)
- დ) საკვერცხის ყვითელ სხეულში.

762. ესტროგენების სეკრეციის ხასიათი ნორმალური მენსტრუალური ციკლის დროს:

- ა) პიკი მენსტრუალური ციკლის 26-28-ე დღეებში.
- *ბ) პიკი მენსტრუალური ციკლის 13-14-ე დღეებში.
- გ) მონოტონური.

763. ესტროგენების და პროგესტინების ქიმიური ბუნება:

- ა) ამინომჟავების ნაწარმი.
- *ბ) სტეროიდული.
- გ) ცილოვან-პეპტიდური.

764. ქორიოგონინის კონცენტრაციის მომაგება გვაქვს ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა:

- ა) ბუშნამქერის დროს.
- *ბ) საკვერცხეების პოლიკისტოზის დროს.
- გ) ორსულობის დროს.

765. ქორიოგონინი გამოიშავდება:

- ა) თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში.
- ბ) საკვერცხეების ყვითელ სხეულში.
- *გ) პლაცენტის ქორიონის უჯრედებში.

766. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ქიმიური ბუნება:

- *ა) ამინომჟავას ნაწარმები.
- ბ) სტეროიდული.
- გ) ცილოვან-პეპტიდური.

767. შტეინ-ლევენტალის სინდრომის სადიაგნოსტიკოდ გამოიყენება ყველა მეთოდი გარდა ერთისა:

- *ა) თირეოტროპიული ჰორმონის განსაზღვრა.
- ბ) სისხლში ჰორმონების - მჰ, ფმჰ, ტესტოსტერონის რაოდენობის განსაზღვრა.
- გ) მცირე მენჯის ორგანოების ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა.

768. ტესტოსტერონი ცირკულირებს სისხლში - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- *ა) ტრანსკორტინთან შეკავშირებული სახით.
- ბ) თავისუფალი სახით.
- გ) სექსსტეროიდშემაკავშირებელ გლობულინთან კომპლექსში.

769. ჰიპერპროლაქტინემია შეიძლება იყოს ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა:

- ა) მძიმე სტრესის შემდეგ.
- *ბ) ფალოპის მილების გაუვალბობის დროს.
- გ) ორსულობის დროს.
- დ) ჰიპოფიზის აღენომის დროს.

770. ტესტოსტერონის ქიმიური ბუნება:

- *ა) სტეროიდული.
- ბ) ამინომჟავების ნაწარმი.
- გ) ცილოვან-პეპტიდური.

771. პროგესტორონის სეკრეციის ხასიათი ნორმალური მენსტრუალური ციკლის დროს:

- ა) მაღალი ფოლიკულურ ფაზაში.
- ბ) მონოტონური.
- *გ) მაღალი ლუთეინურ ფაზაში.

772. ესტროგენებისათვის დამახასიათებელია - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- *ა) მონოტონური სეკრეცია.
- ბ) პიკი მენსტრუალური ციკლის 20-21-ე დღეზე.
- გ) პრეოვულაგორული პიკი.

773. გონადოტროპინების ქიმიური ბუნება:

- ა) ამინომჟავას ნაწარმი.
- *ბ) გლიკოპროტეინები.

გ) სგეროიდული.

774. თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის ჰორმონების ქიმიური ბუნება:

- ა) ამინომჟავას ნაწარმი.
- *ბ) სგეროიდული.
- გ) ცილოვან-პეპტიდური.

775. გონადოტროპინების ბიოლოგიური მოქმედება - ყველა მტკიცება სწორია, გარდა ერთისა:

- *ა) ჰორმონების მეტაბოლიზმზე გავლენა ღვიძლში.
- ბ) სათესლეებსა და საკვერცხეებში სგეროიდოგენების სტიმულაცია.
- გ) სათესლეების მომწიფებისა და ფუნქციის სტიმულაცია.
- ღ) საკვერცხეების მომწიფებისა და ფუნქციის სტიმულაცია.

776. ფოლიკულომასტიმულირებელი, მალუთეინიზირებელი, თერეოტროპული ჰორმონებისა და ქორიოგონინის ქიმიური ბუნება:

- ა) ამინომჟავას ნაწარმი.
- *ბ) გლიკოპროტეინი.
- გ) სგეროიდული.

777. ესტროგენების ბიოსინთეზის სუბსტრატია:

- ა) პროგესტინები.
- ბ) კორტიკოსტეროიდები.
- *გ) ანდროგენები-გესტოსტერონი, ანდროსტენდიონი.

778. ქალებში 5 α - დიჰიდროტესტოსტერონი წარმოიქმნება:

- *ა) პერიფერიაზე
- ბ) თირკმელზედა ჯირკვლებში.
- გ) საკვერცხეებში.

779. რომელ ჰორმონებს გამოიმუშავებს ჰიპოფიზის უკანა წილი:

- ა) ზრდის ჰორმონი.
- *ბ) ოქსიტოცინი, ვაზოპრესინი.
- გ) პროლაქტინი, მჰ, ფმჰ.

780. სექსტეროიდ შემადგენელი გლობულინის სინთეზი წარმოებს:

- *ა) ღვიძლში.
- ბ) სათესლეებში.
- გ) საკვერცხეებში.

781. სისხლში ესტრადიოლის დონის დაქვეითება გვაქვს:

- *ა) პირველადი და მეორადი ჰიპოგონადიზმის დროს.
- ბ) გინეკომასტიის, ღვიძლის ციროზის დროს.
- გ) ესტროგენ მაპროდუცირებელი სიმსივნეების დროს.

782. სისხლში გესტოსტერონის კონცენტრაციის მომაგება აღინიშნება:

- ა) პირველადი და მეორადი ჰიპოგონადიზმის დროს.
- *ბ) ნაადრევი სქესობრივი მომწიფების დროს ვაჟებში.
- გ) კრიპტორქიზმის დროს.

783. პროლაქტინის დონე ორსულობის დროს:

- ა) დაქვეითებულია.
- *ბ) მაგულობს ორსულობის I ტრიმესტრიდან და მაღალია ორსულობის ბოლომდე.
- გ) ნორმის ფარგლებშია მთელი ორსულობის განმავლობაში.

784. პროგესტერონის შემცველობა სისხლის შრატში მენსტრუალური ციკლის განმავლობაში:

- *ა) მაღალი ლუთეინურ ფაზაში.
- ბ) მაღალი ფოლიკულურ ფაზაში.
- გ) მონოტონური.

785. ფუნქციური სინჯი ღექსამეგაზონით (მცირე სინჯი-)

- ა) ენდრომეტროზის "მცირე" ფორმის დროს.
- ბ) შტეინ-ლევანტალის სინდრომის დროს.
- *გ) დაღებიითა თირკმელზედა ჯირკვლების თანდაყოლილი ჰიპერპლაზიის დროს.

786. პროლაქტინი - ყველა მტკიცება სწორია გარდა ერთისა:

- ა) პროლაქტინის სეკრეციის ინჰიბიტორია ლოფამინი.
- ბ) ქიმიური ბუნებით არის პეპტიდი.
- *გ) ქიმიური ბუნებით არის გლიკოპროტეინი.
- დ) გამოძევა ჰიპოფიზის პროლაქტოტროფულ უჯრედებში.

787. კონსერვატიული მიომეტომის უკუხვევებას მიეკუთვნება

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) სიმსივნეში ლისგროფიული ცვლილებები (კვანძის ნეკროზი)
- გ) მცირე მენჯში თანხლები ანთებითი პროცესი
- დ) საშვილოსნოს მიომის რეციდივი
- ე) მძიმე ანემია

788. საშვილოსნოს მიომის დიფერენცირება საჭიროა:

- *ა) ყველა ჩამოთვლილთან
- ბ) საშვილოსნოს დანამაგების სიმსივნისმაგვარ ანთებად წარმონაქმნებთან
- გ) საკვერცხიდან გამომდინარე ავთვისებიან ან კეთილთვისებიან სიმსივნესთან
- დ) საშვილოსნოს განის კიბოსთან ან სარკომასთან

789. სალპინგოციტოზში გულისხმობს ყველას ერთის გარდა:

- *ა) საშვილოსნოს მილში ღრობითი ენდოპროტეუმის შეყვანას
- ბ) ფიბროზის განთავისუფლებას
- გ) მილის სანათურში დამჭერის შეყვანას
- დ) მილის ამპულარული ნაწილის სკალპელით გაკვეთას

790. საკვერცხის სიმსივნეების გართულებებს მიეკუთვნება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) აპოპლექსია
- გ) სიმსივნის კელის ან შიგთავის დამჭერება
- დ) სიმსივნის ფეხზე შემოგრება

791. საშვილოსნოსგარე ორსულობის დიაგნოსტიკისათვის ყველაზე მეტად ინფორმატიულია:

- ა) ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა
- *ბ) დიაგნოსტიკური ლაპარასკოპია
- გ) შარდში ქორიონალური გონადოტროპინის განსაზღვრა
- დ) ანამნეზი

792. კვერცხსავალი მილის პროგრესული ორსულობის დიაგნოსტიკისათვის ინფორმატიულია ყველა მეთოდის გამოყენება გარდა ერთისა:

- ა) შარდში ქორიონალური გონადოტროპინის განსაზღვრა
- *ბ) მუცლის ღრუს პუნქცია უკანა თალიდან (კულდოცენტეზი)
- გ) ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა
- დ) ანამნეზი

793. რომელი მეთოდი გამოიყენება კვერცხსავალი მილის დარღვეული ორსულობის დიაგნოსტიკისათვის

- *ა) ყველა ჩამოთვლილის შეჯერება
- ბ) ობიექტური გამოკვლევა
- გ) შარდში ქორიონალური გონადოტროპინის განსაზღვრა
- დ) მუცლის ღრუს პუნქცია უკანა თალიდან (კულდოცენტეზი)
- ე) ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა
- ვ) ანამნეზი

794. მილისმიერი ორსულობის დროს ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციის ჩატარებისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველა, გარდა ერთისა:

- *ა) სანაყოფე კვერცხის ლოკალიზაცია ინტერსტიციალურ ნაწილში
- ბ) კვერცხსავალი მილის მთლიანობა არ უნდა იყოს დარღვეული
- გ) სანაყოფე კვერცხის ზომები არ უნდა აღემატებოდეს 3 სმ-ს დიამეტრში
- დ) გესტაციის პერიოდი 8 კვირამდე

795. ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციის ჩატარებისას მილისმიერი ორსულობის დროს უკუხვევება ყველა, გარდა ერთისა:

- *ა) სანაყოფე კვერცხის ზომები არ უნდა აღემატებოდეს 3 სმ-ს
- ბ) განმეორებითი მილისმიერი ორსულობა ნაოპერაციებ მიღზე
- გ) ძველი საშვილოსნოსგარე ორსულობა
- დ) სანაყოფე კვერცხის ლოკალიზაცია ინტერსტიციალურ ნაწილში

796. ქალებში შარდის სტრესული შეუკავებლობა, შარდის შეუკავებლობათა რამდენ პროცენტში გვხვდება?

- ა) 55-65%
- *ბ) 35-45%
- გ) 20-30%
- დ) 15-20%

797. შარდის სტრესული შეუკავებლობის პოტენციური ეტიოლოგიური ფაქტორებია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ესტროგენების უკმარისობა
- გ) მენჯის ღრუს ორგანოების ასაკობრივი ცვლილებები
- დ) თანდაყოლილი ანატომიური დეფექტები

798. შარდის სტრესული შეუკავებლობისას მართებულია ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან ერთი:

- ა) არც ერთი ჩამოთვლილი
- *ბ) შარდის ბუშის შიდა წნევა მეტია ურეთრის შიდა წნევაზე ლეგრუმორის შეკუმშვისგან დამოუკიდებლად
- გ) ურეთრის შიდა წნევა თანაბარია შარდის ბუშის შიდა წნევის
- დ) ურეთრის შიდა წნევა მეტია შარდის ბუშის შიდა წნევაზე

799. ჩამოთვლილთაგან უპირატესად რომელი ფაქტორი იწვევს საშვილოსნოსმიერ დისფუნქციურ სისხლდენას

- ა) საშვილოსნოს ყელის კიბო
- ბ) ქრონიკული ენდომეტრიტი
- გ) საშვილოსნოს და საკვერცხეების ორგანული დამიანება
- *დ) ანოვულაცია
- ე) სისტემური დაავადებები

800. ფმპ მოქმედებს ყველა ქვემოთჩამოთვლილ პროცესზე, გარდა ერთისა:

- ა) მპ-ის რეცეპტორების რაოდენობრივი გაზრდა გრანულოზური უჯრედების მემბრანაზე
- ბ) ფმპ-ს მიმართ რეცეპტორების წარმოქმნა
- *გ) მპ გამონთავისუფლება
- დ) ანდროგენების არომატიზაცია
- ე) გრანულოზური უჯრედების ზრდა და განვითარება

801. ატროფიული ვაგინიტი ვითარდება ყველა ჩამოთვლილი მდგომარეობების ფონზე, გარდა ერთისა:

- ა) ენდომეტრიოზის მკურნალობის დროს გამოწვეული ფსევდომენოპაუზა
- *ბ) პერორალური კონტრაცეპტივების მიღება
- გ) კასტრაციის შემდგომი სინდრომი
- დ) მენოპაუზა

802. რომელ მდგომარეობას ახასიათებს საშვილოსნოსმიერი დისფუნქციური სისხლდენები?

- *ა) შეღარებითი ან აბსოლუტური ჰიპერესტროგენია
- ბ) ბუშნამქერი
- გ) თრომბოციტოპენია
- დ) საშვილოსნოს კვანძოვანი მიომა

803. ქვემოთ ჩამოთვლილი ფერმენტებიდან რომელს გადაჰყავს გესტოსტერონი ყველაზე აქტიურ ანდროგენში

- ა) ყველა ჩამოთვლილს
- ბ) 3-ბეტა ოლდეჰიდროგენაზა
- გ) 17-β-ჰიდროქსილაზა
- *დ) 5-ალფა რედუქტაზა

804. ჩამოთვლილი ინფექციებიდან ორსულობის დროს ნაყოფს საფრთხეს უქმნის ყველა, ერთის გარდა:

- ა) ციტომეგალოვირუსი
- ბ) წითურას ვირუსი
- *გ) ინფექციური ჰეპატიტი
- დ) ტოქსოპლაზმოზი
- ე) ჰერპესული ინფექცია

805. პრემენოპაუზული პერიოდისათვის დამახასიათებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) მენსტრუალური ციკლის ხანგრძლივობა და მენსტრუალური გამონადენის რაოდენობის ცვლილება
- *ბ) ჰიპერპროლაქტინემია
- გ) ფერტილობის დაქვეითება
- დ) საკვერცხეების ჰორმონალური ფუნქციის დაქვეითება
- ე) ანოვულაციული მენსტრუალური ციკლების გახშირება

806. ამენორეა არის ქვემოთ ჩამოთვლილი ნოზოლოგიების დამახასიათებელი სიმპტომი, გარდა ერთისა:

- ა) ნერვული ანორექსია
- ბ) შიხანის სინდრომი
- *გ) ენდომეტროზი
- დ) ჩიარი-ფრომელის სინდრომი

807. მშობიარობის შემდგომ ნეირო-ენდოკრინულ პათოლოგიების მიეკუთვნება:

- ა) არც ერთი ჩამოთვლილი
- *ბ) ყველა ჩამოთვლილი
- გ) ამენორეა-გალაქტორეის სინდრომი
- დ) ჰიპოთალამური სინდრომი
- ე) შიხანის სინდრომი

808. მენსტრუაციის დაწყება დამოკიდებულია ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებზე, გარდა ერთისა:

- ა) საკვერცხის სტეროიდული ჰორმონები
- *ბ) ფალოპის მილების გამჭარებლობა
- გ) გონადოტროპინები
- დ) ენდომეტრიუმის მგრძნობელობა სასქესო სტეროიდების მიმართ
- ე) გონადოლიბერინი

809. თანდაყოლილი წითურასათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებია:

- *ა) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
- ბ) მიკროცეფალია
- გ) მიკროფთალმია
- დ) გულის კომბინირებული მანკი

810. რამდენ % შემთხვევაშია შესაძლებელი წითურას ვირუსით რეინფექცია ბუნებრივი იმუნიტეტის შემთხვევაში:

- ა) არც ერთ შემთხვევაში
- ბ) 50% შემთხვევაში
- *გ) 1-3% შემთხვევაში
- დ) 10% შემთხვევაში

811. წითურას ვირუსით ინფიცირებიდან რა ვიდის შემდეგ არის დასაშვები ორსულობა?

- ა) თურას გაღატანიდან 2 თვის შემდეგ
- ბ) წითურას გაღატანიდან 1 თვის შემდეგ
- *გ) წითურას გაღატანიდან 3 თვის შემდეგ
- დ) წითურას გაღატანის შემდეგ მაშინვე

812. საკვერცხეების II პოლიკისტოზის დროს ინსულინრეზისტენტობა რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს განაპირობებს:

- ა) ყველა ჩამოთვლ ფაქტორს
- *ბ) სომატომედინის კონცენტრაციის ზრდას
- გ) მალუთეინიზირებული ჰორმონის შემცირებას
- დ) სქესსტეროიდ-შემაკავშირებელი გლობულინის კონცენტრაციის ზრდას

813. ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი ახასიათებს საკვერცხეების მეორადი პოლიკისტოზის ინსულინ-რეზისტენტულ ფორმას

- *ა) ყველა ჩამოთვლილი სწორია
- ბ) თავისუფალი გესტოსტერონის დონის ზრდა
- გ) ფერმენტ-ციტოქრომ P-450 17-ალფა ჰიდროქსილაზას გააქტიურება
- დ) სქესსტეროიდ-შეკავშირებული ჰორმონის კონცენტრაციის შემცირება

814. პირველადი ჰიპერთიროზისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა ერთისა

- ა) მომაგებულია FSH
- *ბ) მომაგებულია tSH
- გ) მომაგებულია tH4
- დ) მომაგებულია tH3

815. აღრენო-გენიგალური სინდრომის ფარული ფორმების შემთხვევაში სინაქტენით (აკტჰ) ლაგვირთვის სინჯის შემდეგ მაგულობს ყველა ჰორმონი, გარდა ერთისა

- ა) დეჰიდროეპიანდროსტრონის სულფატი
- *ბ) პროგესტერონი
- გ) 17 ალფა-ოქსიპროგესტრონი
- დ) გესტოსტრონი

816. ანდროგენიგალური სინდრომის მსუბუქი ფორმების შემთხვევაში ოვიდონით (კომბინ-პროგესტინი) დათრგუნვის სინჯის შემდეგ ანდროგენების დონე ქვეითდება:

- ა) 0%-ით
- *ბ) 50%-ზე ნაკლებად
- გ) 50%-ზე მეტად
- დ) 100%-ით

817. ციგოქრომ P450-ჰიდროქსილაზა იწვევს:

- *ა) ანდროგენების სინთეზის გაძლიერებას
- ბ) ესტროგენების სინთეზის გაძლიერებას
- გ) პროლაქტინის სეკრეციის დათრგუნვას
- დ) ანდროგენების სინთეზის დათრგუნვას

818. სომატომედინი სტრუქტურულად მსგავსია:

- ა) აკტჰ-ის
- ბ) მალუთეინიზებული ჰორმონის
- *გ) ინსულინის
- დ) სომატოტროფული ჰორმონის

819. ჩამოთვლილი დებულებებიდან მართებულია:

- ა) ესტროგენები სინთეზირდება გონადოტროპინებიდან
- ბ) ანდროგენები სინთეზირდება გონადოტროპინებიდან
- *გ) ესტროგენები სინთეზირდება ანდროგენებიდან
- დ) ანდროგენები სინთეზირდება ესტროგენებიდან

820. ანდრო-გენიგალური სინდრომის მსუბუქი ფორმის დროს ფერმენტ 3 ბეტა-ოილ-დეჰიდროგენაზას უკმარისობის სპეციფიური მარკერია

- ა) ანდროსტენდიონის მომაგება
- ბ) ტესტოსტერონის მომაგება
- *გ) 17 ალფა-ოქსიპროგნოლონის მომაგება
- დ) 17 ალფა-ოქსიპროგესტერონის მომაგება

821. მიუთითეთ ადამიანის ქორიონული გონადოტროპინის ის მინიმალური რაოდენობა, რომლის დროსაც შეიძლება სანაყოფე კვერცხის აღმოჩენა გრანსვაგინალური ექოსკოპიით

- ა) 5500-6000 მმ/მლ
- ბ) 4500-5000 მმ/მლ
- გ) 2500-4000 მმ/მლ
- *დ) 1500-2000 მმ/მლ

822. ქვემოთ ჩამოთვლილითაგან რომელი აღასკურებს გარანტირებულად ენდომეტრიუმის არსებობას

- *ა) არც ერთი ჩამოთვლილითაგან
- ბ) უშვილობა
- გ) დისმენორეა
- დ) საკვერცხეების ზომაში ორმხრივი მომაგება

823. მაღალდობიანი ორალური კონტრაცეპტივების ხანგრძლივმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ყველა გართულება, გარდა ერთისა:

- *ა) ღიაბეტი
- ბ) მიოკარდიუმის ინფარქტი
- გ) თრომბოემბოლია
- დ) ამენორეა

824. 16 წლის გოგონაში ამენორეა შეიძლება გამოწვეული იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილით, გარდა ერთისა;

- *ა) გრანულოზურ-თეკა უჯრედოვანი სიმსივნე
- ბ) საკვერცხეების პოლიკისტოზი
- გ) ტერნერის სინდრომი
- დ) ჰიპერანდროგენია

825. პოსტმენოპაუზური პერიოდის ქალებში საშოს ცელილებებისათვის დამახასიათებელია ყველა, გარდა ერთისა:

- ა) საშოს ტონუსის დაქვეითება
- ბ) პარაბაზალური უჯრედების რაოდენობის მომაგება
- *გ) ლორწოვანის სეკრეციის გაძლიერება
- დ) საშოს ზედა ნაწილის ზომებში შემცირება
- ე) მკრთალი, მშრალი ეპითელიუმი

826. ჰიპოფიზის ქრომოფობული აღნოზის დროს შეიძლება გამოვლინდეს ყველა სიმპტომი, გარდა ერთისა:

- *ა) კუშინგის სინდრომი
- ბ) სიბრძავე
- გ) გალაქტორეა
- დ) ჰიპოთირეოზი
- ე) ამენორეა

827. მალუთინიზებული ჰორმონი არ მოქმედებს

- *ა) მკ (მალუთინიზებული ჰორმონის) რეცეპტორების წარმოქმნაზე გრანულოზური უჯრედების მემბრანაზე
- ბ) ყვითელი სხეულის მიერ პროგესტერონის სეკრეციაზე
- გ) კვერცხუჯრედის რეპროდუქციულ დაყოფაზე
- დ) გრანულოზური უჯრედების ლუთინიზაციაზე

828. მენოპაუზის ჩამოთვლილი სიმპტომებიდან რომელზე არ მოქმედებს ესტროგენებით ჩანაცვლებითი თერაპია

- *ა) ალგომენორეა
- ბ) დისპარეუნია
- გ) ატროფიული ვიგინიტი
- დ) ალბი
- ე) საშოს კუნთების ტონუსის დაქვეითება

829. საშვილოსნოს მიომა შეიძლება იყოს ყველა ჩამოთვლილი მდგომარეობის მიზეზი, გარდა ერთისა:

- ა) საშვილოსნოსმიერი სისხლდენა
- ბ) ნაადრევი მშობიარობა
- *გ) ყვითელი სხეულის ნაკლოვანება
- დ) თვითნებითი აბორტები

830. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ პროცესთან არის დაკავშირებული ოვულაცია

- ა) პროგესტერონის გამოყოფა
- *ბ) მკ-ის გადმოსროლა
- გ) ფმკ-ის სეკრეციის დათრგუნვა
- დ) კვერცხუჯრედის რელუქციული დაყოფა

831. მენსტრუაციული ციკლის ლუთეინურ ფაზას ახასიათებს

- *ა) პროგესტერონის მაქსიმალური კონცენტრაცია
- ბ) დაბალი ბაზალური ტემპერატურა
- გ) ფოლიკულების ზრდა და მომწიფება
- დ) განსხვავებული ხანგრძლივობა

832. ორსულობის ყვითელი სხეულისათვის დამახასიათებელია ყველა მტკიცება, გარდა ერთისა:

- *ა) აქტიურად ფუნქციონირებს მთელი ორსულობის განმავლობაში
- ბ) მის ფუნქციას ასტიმულირებს ქორიონული გონადოტროპინი
- გ) გამოიმუშავებს პროგესტერონს და ესტროგენებს
- დ) ვითარდება მენსტრუალური ყვითელი სხეულიდან

833. მენსტრუალური ციკლის ფოლიკულური ფაზისთვის დამახასიათებელია ყველა მტკიცება, გარდა ერთისა:

- *ა) აღინიშნება პროგესტერონის მაქსიმალური კონცენტრაცია
- ბ) ესტროგენების მაღალი კონცენტრაცია ასტიმულირებს ლუტროპინის სეკრეციას
- გ) ფოლიკულების ზრდასთან ერთად სისხლში იმატებს ესტროგენების დონე
- დ) დამახასიათებელია ფოლიკულების ზრდა და მომწიფება

834. ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან რომელია დამახასიათებელი საკვერცხეების მეორადი პოლიპისათვის

- ა) ყველა ჩამოთვლილი სწორია
- ბ) ყავისფერი გამონადენი მენსტრუაციამდე
- *გ) აცანტოსის ნივრცანს
- დ) ალგომენორეა

835. ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი არ გამოიყენება საკვერცხეების პოლიკისტოზის სამკურნალოდ

- ა) კლოფემინი
- ბ) სიოფორი
- *გ) დიენა
- დ) დიანე 35

836. საკვერცხეების პოლიკისტოზის იაგნოზის დასმისათვის მნიშვნელოვანია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი

- ა) ინსულინი
- *ბ) კორტიზოლი
- გ) მლპ
- დ) თავისუფალი გესტოსტერონი

837. საკვერცხეების პოლიკისტრომისათვის დამახასიათებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) ჭარბი წონა
- ბ) უნაყოფობა
- *გ) ოლიგომენორეა
- დ) ალგომენორეა

838. საკვერცხეების II პოლიკისტრომისათვის დამახასიათებელია

- *ა) ყველა ჩამოთვლილი სწორია
- ბ) 17 Kმ-ლონის მომაგება
- გ) თავისუფალი გესტოსტერონის ღმის მომაგება
- დ) ინსულინის ღმის მომაგება

839. შიხანის სინდრომის დროს ამენორეა არის:

- ა) ნორმოჰონადტროპული
- *ბ) ჰიპოგონადტროპული
- გ) ჰიპერგონადტროპული

840. ჰიპოთალამური სინდრომის სინონიმებია:

- ა) ჰიპერპროლაქტინემიის სინდრომი
- ბ) შიხანის სინდრომი
- *გ) დიენცეფალური სინდრომი

841. საკვერცხეების პოლიკისტრომი არის:

- ა) სიმსივნური საკვერცხის მიეი ჰიპერანდროგენია
- ბ) ადრენალური ჰიპერანდროგენია
- *გ) არასიმსივნური ოვარიალური ჰიპერანდროგენია

842. ჰიპერმენსტრუალური სინდრომის მკურნალობის გაქტიკაში წამყავნია:

- ა) ლიურეტიკები
- ბ) ფსიქოთერაპია
- *გ) ჰორმონული ჰემოსტაზის აღდგენა

843. კლიმაქტერული ამენორეა არის:

- ა) ჰიპერგონადტროპული
- *ბ) ჰიპერგონადტროპული
- გ) ნორმოჰონადტროპული

844. ამენორეა ფიზიოლოგიურია ყველა შემთხვევაში, გარდა:

- ა) კლიმაქტერულ პერიოდში
- *ბ) სტრესის შემთხვევაში
- გ) ორსულობის დროს
- დ) ლაქტაციის დროს

845. ცერვიკალური ინდექსის კომპონენტებია ყველა, ერთის გარდა:

- ა) ლორწოს წვევადობა
- *ბ) ბაზალური თერმომეტრია
- გ) გვიმრისებრი რისგალიზაცია
- დ) "გუგის" სიმპტომი

846. რექტოლექციული ასაკის ქალისთვის სმი-ის ნორმალური მაჩვენებლები მერყეობს ღიაპაზონში:

- *ა) 19 კგ/კვ.მ - 25 კგ/კვ.მ
- ბ) 20 კგ/კვ.მ - 30 კგ/კვ.მ
- გ) 17 კგ/კვ.მ - 22 კგ/კვ.მ
- დ) 17 კგ/კვ.მ - 18 კგ/კვ.მ

847. ჰისტეროსალპინგოგრაფიით შესაძლებელია დაისვას:

- ა) პარაოვალური კისტის დიაგნოზი
- *ბ) ენდომეტრიუმის პოლიპის დიაგნოზი
- გ) სუბსეროზული მიომატ. კვანძის დიაგნოზი

დ) გარეგანი ენდომეტრიუმის დიაგნოზი

848. ჰიპერენდოგენული ღერმატოპათიაა ყველა, გარდა ერთისა:

ა) თხემის მამაკაცური ალოპეცია

ბ) აკნე-სებორეა

*გ) ლაჭიმულობის სტრეები

დ) ჰიპერტრიქოზი

ე) ჰირსუტიზმი

849. შიხანის სინდრომის დროს ამენორეა არის

ა) არც ერთი მათგანი

*ბ) ჰიპოგონადოტროპული

გ) ჰიპერგონადოტროპული

დ) ნორმოგონადოტროპული

850. რემისტენგული საკვერცხეების სინდრომის დროს არსებული ამენორეა არის

ა) არც ერთი მათგანი

ბ) ნორმოგონადოტროპული

*გ) ჰიპერგონადოტროპული

დ) ჰიპოგონადოტროპული

851. ორსულობის პირველ ტრიმესტრში ჰორმონული კორელაციისთვის იხმარება

*ა) უტროქესტანი

ბ) ბრომკრიპტინი

გ) ნორესტერონი

დ) ორგამეტრილი

852. ორსულობის პირველ ტრიმესტრში ჰორმონული კორექციისათვის გესტაგენებიდან იხმარება ყველა, გარდა ერთისა:

ა) დიუფასტონი

*ბ) ლევონორგესტრელი

გ) ტურინალი

დ) უტროქესტანი

853. ქვემოთ ჩამოთვლილი ღებულებებიდან მართებული ყველა, ერთის გარდა:

*ა) ესტრიოლი ყველაზე ძლიერი ესტროგენული მოქმედებისაა

ბ) ესტრონი და ესტრიოლი ესტრადიოლთან შედარებით სუსტი მოქმედების ესტროგენები არიან

გ) ესტრადიოლი პროლუცირდება საკვერცხეების მიერ

დ) ქალის ორგანიზმში გვხვდება ესტროგენები სამი სხვადასხვა სახით - ესტრონი, ესტრადიოლი, ესტრიოლი

854. ესტროგენებით ჩამაცვლებითი თერაპია უკუნაჩვენებია ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა:

*ა) სასქესო ორგანოების ანთების დროს

ბ) საშვილოსნოდან უცნობი გენემის სისხლდენის დროს

გ) თრომბოემბოლიური დაავადების დროს

დ) ღვიძლის მწვავე უკმარისობის დროს

ე) 20 წელზე მეტი ხანგრძლივობის შაქრიანი დიაბეტის დროს

855. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფრაზა გულისხმობს საკვერცხეების პოლიკისტოზს, ერთის გარდა:

ა) ქრონიკული ანოვულა

*ბ) საკვერცხეების ასიმეტრიულობა

გ) სტრუქტურული ცვლილებები საკვერცხეების სტრომაში

დ) არასიმსივნური ოვარიული ჰიპერანდროგენია

856. ინდივიდის კვებითი ქცევის თავისებურება და მადის მაგება განპირობებულია:

ა) გონადოტროპინების დისმორულაციით

ბ) კორტიზოლის დეფიციტით

*გ) სეროტონინის დეფიციტით

დ) კორტიკოლიბერინის ჰიპერსეკრეციით

857. პროლაქტინის ენდოგენური ინჰიბიტორია:

ა) თიროლიბერინი

*ბ) დოფამინი

გ) სეროტონინი

დ) მელატონინი

858. მიუთითეთ, როდის არის ინფორმაციული პროგნოსტიკის განსაზღვრა სისხლში

- ა) პრეულაგორულად
- *ბ) მენსტრუალური ციკლის ლუთინურ ფაზაში
- გ) მენსტრუაციის დამთავრებისთანავე
- დ) მენსტრუალური ციკლის ფოლიკულურ ფაზაში

859. ლუთინური უკმარისობის სამკურნალოდ გამოიყენება ყველა, ერთის გარდა

- *ა) პრემარინი
- ბ) ნორესტისტერონი
- გ) უგროჯესტანი
- დ) ორგამეტრილი
- ე) ლიდროგესტერონი

860. არაოვულერებადი ფოლიკული ლუთინიზაციის სინდრომი შეიძლება აღინიშნოს ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა

- *ა) რემისგენგული საკვერცხეების დროს
- ბ) ფსიქოგენური სტრესის დროს
- გ) ფუნქციური ჰიპერპროლაქტემიის დროს
- დ) გენიტალური ენდომეტრიოზის დროს

861. ჰიპერგონადოტროპული ამენორეა აღინიშნება ყველა შემთხვევაში, გარდა:

- ა) საკვერცხეების ნაადრევი განლევის სინდრომი
- *ბ) ამერმანის სინდრომი
- გ) კლიმაქტერული სინდრომი
- დ) რემისგენგული საკვერცხეების სინდრომი

862. ინსულინრემისგენგული გენების საკვერცხეების პოლიკისტოზისათვის შეარჩიეთ ოპტიმალური ჰორმონული კვლევა

- ა) FSH, LH, E2
- ბ) FSH, LH, P_L
- *გ) FSH, LH, F_r, გ_{მთ}, I_ლ
- დ) FSH, LH, თ_მ

863. კლიმაქტერულ მეტაბოლურ სინდრომთან დაკავშირებით ჩამოთვლილ დებულებებიდან მართებულია ყველა, ერთის გარდა:

- *ა) ესტროგენების ლეფიციტი იწვევს მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების მაგებას
- ბ) ესტროგენებს გააზნაით ლიპიდების მიმართ მოდულაციური გემოქმედება
- გ) ალგული აქვს დეა-ს ასაკობრივ ლეფიციტს
- დ) ესტროგენების ლეფიციტის პარალელურად ყალიბდება შედარებითი ჰიპერანდროგენია

864. შეარჩიეთ ოპტიმალური ჰორმონული კვლევის ლგორითმი ინსულინრემისგენგული საკვერცხეების პოლიკისტოზის ლიანგნოსტიკისათვის

- *ა) სისხლში გონადოტროპინების, თავისუფალი გესტოსტერონის, იმუნორეაქტიული ინსულინის განსაზღვრა
- ბ) 24 საათიან შარდში სუმარული ესტროგენებისა და 17 K_შ-ის განსაზღვრა
- გ) სისხლში გონადოტროპინების, პროგესტერონის განსაზღვრა
- დ) სისხლში პროლაქტინის, ესტრადიოლის, პროგესტერონის განსაზღვრა

865. ჰიპოფიზის წინა ნაწილის გროპული ჰორმონებია:

- ა) ზრდის ჰორმონი, კორტიკოტროპინი, პროლაქტინი
- *ბ) P_L, FSH, LH, თ_მH, A_მთ_მ, შ_მH
- გ) კორტიკოტროპული, ლაქტოტროპული, თირეოტროპული ჰორმონები
- დ) პროლაქტინი, გონადოტროპინები

866. ქვემოთჩამოთვლილთაგან, მენსტრუალური ციკლის რითმის დარღვევაზე მიუთითებს:

- ა) ჰიპომნორეა
- *ბ) ოლიგომენორა
- გ) მენოპეგორაგია
- დ) მენორაგია

რეპროდუქციული გინეკოლოგია

867. კანდიდოზური ინფექციის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია:

- ა) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი არ არის სწორი.
- *ბ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია;
- გ) შაქრიანი დიაბეტი;
- დ) ანტიბიოტიკების დიდი დოზებით ან მისი ხანგრძლივი ხმარება;

868. გენიტალური კანდილოზის დროს უპირატესად ზიანდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- *ა) ენდომეტრიუმი.
- ბ) ვულვა;
- გ) საშვილოსნოს ყელის სამოსმხრივი ნაწილი;
- დ) სამოს ლორწოვანი გარსი;

869. მიუთითეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება გენიტალური კანდილოზის გამოკვლევის სპეციფიურ მეთოდს:

- *ა) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.
- ბ) სეროლოგიური მეთოდი (კომპლ. შებოჭვის რეაქცია);
- გ) ბაქტერიოლოგია;
- დ) ბაქტერიოსკოპია;

870. კანდილოზის ეტიოლოგიური მკურნალობისათვის გამოიყენება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატი, გარდა ერთისა:

- *ა) სულფანილამიდები.
- ბ) პიმფუცინი;
- გ) გინო-პევიარილი;
- დ) დიფლუკანი;
- ე) ლევორინი;

871. კანდილოზის ეტიოლოგიური მკურნალობისათვის გამოიყენება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატი, გარდა ერთისა:

- ა) დიფლუკანი.
- *ბ) ბისეპტოლი;
- გ) მაკმირორი;
- დ) ნიმორალი;
- ე) ნისტაგინი;

872. კანდილოზური ინფექციით დაავადების შესაძლო გზებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) იმუნური სისტემის დათრგუნვა.
- *ბ) აირ_ წვეთოვანი გზა;
- გ) კონტაქტური გზა;
- დ) სქესობრივი გზა;

873. გენიტალური კანდილოზის დროს უპირატესად ზიანდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- *ა) საშვილოსნოს მილები.
- ბ) ვულვა;
- გ) ექტოცერვიქსი;
- დ) სამოს ლორწოვანი გარსი;

874. მიუთითეთ გენიტალური კანდილოზის მკურნალობის პრინციპები:

- *ა) სწორია ყველა ზემოთ ჩამოთვლილის .
